ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8033587

ნომერი: AR11154960

თარიღი : 31.07.2026

გაცემის თარიღი : 06.08.2026

გაცნობის თარიღი : 06.08.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ირაკლი აბაშიძე , N 42; ქალაქი თბილისი , ქუჩა ირაკლი აბაშიძე , N 42;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად სურგულაძე პ/ნ 01017010566
- თბილისი ლ.გუდიაშვილის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა ახალი მშენებლობა

წარმოდგენილია 2026 წლის 21 ივლისით დათარიღებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მეგობრობა 42“-ის წევრთა კრების ოქმი, რომელიც არ არის მისაღები და არ არის შესაბამისი შემდეგი მიზეზ-გარემოებანის გამო, კერძოდ:

ა) ზემოხსენებულ ოქმში არ არის მითითებული კრებაზე დამსწრე-მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი;

ბ) ზემოხსენებულ ოქმში გამოხატული არ არის ნებელობა კრების თავმჯდომარედ თამარ მაჭავარიანის (პირადი 01008017261) არჩევაზე;

გ) კრების ოქმის ბოლოს არ არის მითითებული საკითხის დადებითად გადაწყვეტის მომხრეთა პროცენტული მაჩვენებელი;

დ) ზემოხსენებულ ოქმში საერთოდ არ არის მითითებული N01.14.11.029.013.20.500 უძრავი ქონება (ავტოფარეხი);

ე) ზემოხსენებულ ოქმში არ არის დასახელებული კონკრეტულად, რომელ კომუნიკაციაზეა საუბარი;

ვ) გაუგებარია ზემოხსენებულ ოქმში რატომაა მითითებული N01.14.11.029.013.01.002 უძრავი ქონება (ბინა N2), N01.14.11.029.013.01.561 უძრავი ქონება (სარდაფი) და N01.14.11.029.013.01.518 უძრავი ქონება (სარდაფი) მაშინ, როდესაც საჯარო რეესტრის ამონაწერები წარმოდგენილია მხოლოდ: N01.14.11.029.013.01.560 და N01.14.11.029.013.20.500 უძრავ ქონებასთან მიმართებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ დამატებით წარმოსადგენია:

1. განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე: ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვრული უნდა იყოს ხაზობრივი ნაგებობის კონკრეტული შესაბამისი ტრაექტორია (ან განცხადება წარმოდგენილი იქნეს ახლიდან, სადაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია), ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მონიშნულია მიწის ნაკვეთი;
2. მოთხოვნის შინაარსი: მიეთითოს კონკრეტულად რა სახის საკომუნიკაციო ნაგებობას ითხოვს განმცხადებელი და ასევე მიეთითოს მისი ტექნიკური მახასიათებლები, განიმარტოს წარმოადგენს თუ არა იგი ხაზობრივ ნაგებობას (შენიშვნა: ხაზობრივი ნაგებობებია: გაზსადენი, წყალსადენი, წყალარინების მილი, ელექტროგადამცემი ხაზი);
3. ფოტომონტაჟი: მითითებულ ველში წარმოსადგენია არქიტექტურული პროექტი;
4. ძირითადი ფართის (შენობა-ნაგებობის) და არსებული საკომუნიკაციო ნაგებობის (რომელთა შორისაც გათვალისწინებულია საკომუნიკაციო საშუალების მოწყობა) კანონიერებისა და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. ნამდვილად N01.14.11.029.013 მიწის ნაკვეთზე მოქმედი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 100 პროცენტის დასწრება-მონაწილეობით ჩატარებული კრების ამსახველი ახალი და გასწორებული წერილობითი ოქმი - მასზედ ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმებით, რომელშიც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 100 პროცენტის დადებითი ნებელობა ცალსახად უნდა იქნეს გამოხატული მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „მასტერ ოქეის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402010471) მოთხოვნა გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ხაზობრივი ნაგებობის სამუშაოების შესახებ მოთხოვნა დაყენებული NAR11154960 განცხადებით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების ოქმში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).
6. წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა იმ მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობასაც უნდა შეუერთდეს / დაუერთდეს / მიუერთდეს ახალი მოთხოვნილი ხაზობრივი ნაგებობა (წერილობით თანხმობაში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).
7. წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ყველა აბსოლუტურად ყველა იმ ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობაზეც გავლენას ახდენს ანდა შესაძლოა, რომ გავლენა მოახდინოს განსახორციელებელმა სამუშაოებმა (წერილობით გაცემულ თანხმობებში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

07:28:01 query returned open=false

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.